# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N:12

ქ. მცხეთა

30 მაისი 2018 წელი

ერთი მხრივ, ა(ა)იპ მცხეთის კულტურის ცენტრი „სვეტი“, შემდგომში „შემსყიდველი“ წარმოდგენილი დირექტორის გიორგი მერებაშვილის სახით და მეორე მხრივ, შპს „ალტა“, შემდგომში „მიმწოდებელი“ წარმოდგენილი დირექტორის კახა ჭოველიძის სახით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 პორტაბელური კომპიუტერის ჩანთები (CPV30237270).

1.2 ფლეშმეხსიერება (CPV 30234600).

## 2. მომსახურების მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და ძალაშია 2018 წლის 30 ივნისი ჩათვლით.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 126 (ას ოცდაექვსი) ლარი.

## 3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

3.2 ანგარიშწორება მოხდეს მიღება ჩაბარების აქტიდან არაუმეტეს 10 დღეში.

## 4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მიმწოდებელი'' კისრულობს ვალდებულებას;

4.2 საქონლის მიწოდება მოხდეს ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

4.3 „შემსყიდველი'' კისრულობს ვალდებულებას:

4.4 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

## 5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მომწოდებელი“ არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი“ წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს“ უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

5.3 შესყიდვის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი“ უფლებამოსილია „მომწოდებელს“ არ აუნაზღაუროს საქონლის ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0,5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

## 6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

## 7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 8. ფორს – მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

## 9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 თუ „მიმწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

## 11 ხელშეკრულების პირობების კონტროლი

11.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს და მიღება-ჩაბარებაზე ხელის მოწერას განახორციელებს ა(ა)იპ მცხეთის კულტურის ცენტრი „სვეტი"-ის სპეციალისტი სახელმწიფო შესყიდვებში გიგა პაპაშვილი.

## 12 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## *13. მხარეთა რეკვიზიტები*

შპს „ალტა"

ს/კ 211380691
ა/ნ GE06TB0600000013467445
სს „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
მის: ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქ. #104
ტელ: 2 510 111

დირექტორი:
კახა ჭოველიძე

ა(ა)იპ მცხეთის კულტურის ცენტრი „სვეტი"

ს/კ: 436254795
ა/ნ: GE24NB0330100200165022
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
მის: ქ.მცხეთა, სამხედროს ქ. N 9
ტელ: 568 25 99 55

დირექტორი:
გიორგი მერებაშვილი

# მ ი ღ ე ბ ა – ჩ ა ბ ა რ ე ბ ი ს

# ა ქ ტ ი

07 ივნისი, 2018 წელი

| მიმწოდებელი | შემსყიდველი |
|---|---|
| შპს „ალტა“ | ა(ა)იპ მცხეთის კულტურის ცენტრი „სვეტი“ |

საფუძველი: 30 მაისი, 2018წ. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N:12

ჩვენ, ერთის მხრივ, ა(ა)იპ მცხეთის კულტურის ცენტრი „სვეტი“-ს სპეციალისტი სახელმწიფო შესყიდვებში გიგა პაპაშვილი, ხოლო მეორეს მხრივ შპს „ალტა“-ს დირექტორი კახა ჭოველიძე ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ ერთის მხრივ, ა(ა)იპ მცხეთის კულტურის ცენტრი „სვეტი“-ს სპეციალისტმა სახელმწიფო შესყიდვებში გიგა პაპაშვილმა მიიღო, ხოლო მეორეს მხრივ შპს „ალტა“-ს დირექტორმა კახა ჭოველიძემ ჩააბარა 2018 წლის 30 მაისს ა(ა)იპ მცხეთის კულტურის ცენტრი „სვეტი“-სა და შპს „ალტა“-ს შორის გაფორმებული N:12 ხელშეკრულების საფუძველზე:

| მიწოდებული საქონლის/მომსახურების სახე | სულსაქონლის/მომსახურება |
|---|---|
| პორტაბელური კომპიუტერის ჩანთები; ფლეშმეხსიერება. | 126 (ას ოცდაექვსი) ლარი |
| სულ: | 126 (ას ოცდაექვსი) ლარი |

ა(ა)იპ მცხეთის კულტურის ცენტრი „სვეტი“-ს სპეციალისტი სახელმწიფო შესყიდვებში გიგა პაპაშვილი________________________

შპს „ალტა“-ს დირექტორი

კახა ჭოველიძე________________________

ქ. მცხეთა

07.06.2018 წ.

# ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტისარარსებობის შესახებ

ვადასტურებ, რომ ა(ა)იპ მცხეთის კულტურის ცენტრის „სვეტი"-ს მიერ 2018 წლის 30 მაისს „პორტაბელური კომპიუტერის ჩანთების" და „ფლეშმეხსიერების" შესყიდვაზე შპს „ალტასთან" გაფორმებული N12 ხელშეკრულებით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

ა(ა)იპ მცხეთის კულტურის ცენტრის „სვეტი"-ს

სპეციალისტი სახელმწიფო შესყიდვებში გიგა პაპაშვილი